ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვა

მალთაყვის უბანში სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის) რეაბილიტაციის პროექტირება

შესყიდვის კატეგორია - 71200000 - არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 71242000 - პროექტისა და გეგმის მომზადება, ხარჯების გამოთვლა

საკონკურსო განცხადება

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის პროცედურა ხორციელდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის 10^2 მუხლის მე-2 პუნქტისა და 24-ე მუხლის მე-10 პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის საფუძველზე და ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების შესაბამისად.

2014 წელი

საკონკურსო განცხადება

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში–ქალაქი ფოთი) აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა პროფესიონალ არქიტექტორ-ქალაქმგეგმარებელს, როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიულ პირეს.

კონკურსი გამოცხადებულია საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე.

2. შესყიდვის ობიექტია: **მალთაყვის უბანში სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის) რეაბილიტაციის პროექტირება**

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს - 120 000 ლარს, დღგ-სa და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 4 დეკემბრის 11^{-00} საათიდან 2014 წლის 18 დეკემბრის 13^{-00} საათამდე. შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი დ. აღმაშენებლის ქუჩა №12. ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერია.

5. კონკურსი ჩატარდება 2014 წლის 18 დეკემბერს 14^{-00} საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი დ. აღმაშენებლის ქუჩა №12. ქ. ფოთის მუნიუციპალიტეტის მერია.

6. კონკურსში მონაწილეობის საფასური:

6.1 საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს კანონის 19^1 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ორმოცდაათი ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://procurement.gov.ge).

6.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
პირის მიერ 6.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება.

8. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

9. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

10. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

11. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.

12. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

13. საკონკურსო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

14. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში. ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. შესაძლებელია გამოყენებული იქნეს **წინასწარი ანგარიშსწორება:**

14.1 მიმწოდებლის მიერ მოთხოვნილი თანხის იდენტური ოდენობის საავანსო საბანკო ან/და სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულების ვადას.

14,2 შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებლის გათავისუფლება შესაძლებელია, თუ მიმწოდებლისათვის წინასწარ გადასახდელი თანხა ჩაირიცხება საამისოდ განკუთვნილ ცალკე საბანკო ანგარიშზე და ეს თანხა გამოიყენება შემსყიდველი ორგანიზაციის კონტროლით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში. თანხის ჩარიცხვა მოხდება მიმწოდებლის მომართვისა და შემსყიდველის თანხმობის საფუძველზე.

15. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) კონკურსანტის რეკვიზიტები დანართი 1-ის მიხედვით;
ბ) ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ;
გ) ინფორმაცია კონკურსანტის პრაქტიკული გამოცდილების შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს მის მიერ შესრულებული და სათანადო წესით დამოწმებული ობიექტების ჩამონათვალს (მიღება - ჩაბარების აქტებს).
დ) **კონცეფცია** - განმარტებითი ბარათი (A-4 ზომის ფორმათი, №12 შრიფტი, არა უმეტეს 4 ფურცელისა), გენგეგმა (ესკიზური სქემა), ფრაგმენტული განშლა (ზღვის ფასადი), რენდერები (მინიმუ 2 ხედი) შესაძლებელია დამატებითი მასალა ავტორის შეხედულებისამებრ.
ე) **კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო ესკიზური წინადადება** - განმარტებითი ბარათი, ტერიტორიის გენგეგმა, არქიტექტურული მოცულობების ესკიზები, რენდერები (მინიმუმ 2 ხედი), დამატებითი მასალა შესაძლებელია ავტორის შეხედულებისამებრ.
ვ) საკონკურსო წინადადების ფასი დანართი 2-ის შესაბამისად.

16. საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

1	კონცეფცია და ესკიზური საპროექტო წინადადება (განმარტებითი ბარათი, განშლა, გენგეგმა და რენდერები)	კოეფიციენტი 0.4
2	კონცეფციის პრაქტიკულად განხორციელების რეალობა	კოეფიციენტი 0.2
3	პრაქტიკული გამოცდილება	კოეფიციენტი 0.2
4	საკონკურსო წინადადების ფასი	კოეფიციენტი 0.2

17. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 65 (სამოცდახუთი) კალენდარულ დღეში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

18. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საბოლოო დოკუმენტაციის შედგენისას მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს შემსყიდველთან და უნდა გაითვალისწინოს მისი შენიშვნები და წინადადებები.

19. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს, ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდა მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები, (სათანადო დასაბუთებით).

20. კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი ესკიზური პროექტი და მათ შორის, კონკურსში გამარჯვებულის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი ყველა საპროექტო–დოკუმენტაცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

21. საკონკურსო განცხადებასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი დ. აღმაშენებლის ქუჩა №12. ქ. ფოთის მერია. მე-4 სართული. საკონტაქტო პირი: - მაია სულავა , ტელ: +995 493 22-45-54
მობილური 599 748 436
ელ.ფოსტა: potitenderi2011gmail.com
წერილობითი მიმართვის შემთხვევაში – ქალაქ ფოთი, დ. აღმაშენებლის
ქუჩა N12, საკონკურსო კომისია.

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს:

მალთაყვის უბანში სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის) რეაბილიტაციის პროექტირება

აღნიშნული პროექტის მიზანია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მალთაყვის უბანში, ზღვის სანაპირო ზოლის (მალთაყვის არხიდან ნიკოლაძის კუნძულამდე) განვითარების არქიტექტურულ გეგმარებითი კონცეფციის შექმნა და პლაჟის (ნაწილი) კეთილმოწყობა.

კონცეფცია მოიცავს: მალთაყვის უბანში, ზღვის სანაპირო ზოლს (მალთაყვის არხიდან ნიკოლაძის კუნძულამდე) შეადგენს 493ჰა-ს. ქალაქის განვითარებიდან გამომდინარე მალთაყვის ზღვისპირა ზოლი და მისი მიმდებარე ტერიტორიის დაგეგმარების კონცეფცია უნდა ეფუძნებოდეს სამომავლოდ გაზრდილ მოთხოვნებს მთლიანად ამ რაიონის დაგეგმარებას. მალთაყვის ზონა ქალაქის უნიკალურ გეგმარებით სტრუქტურაში ორგანულად უნდა ჩაეწეროს და თავისი ბუნებრივი პირობებით უნდა იქცეს, ერთ-ერთ საკურორტო ღირშესანიშნაობად რაც ხელს შეუწყობს ქ. ფოთის საკურორტო ქალაქად ჩამოყალიბებას. **ტერიტორიის კონცეფცია გულისხმობს შემდეგ სამუშაოებს:**

- სარეკრეაციო, საკურორტო-სარეკრეაციო, ლანშაბტურ-სარეკრეაციო ზონების განვითარება და ამ ზონაში სპორტულ-გამაჯანსაღებელი და საკურორტო კომპლექსების მოწყობა, ოქროს ტბისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის და სანაპირო ზოლის ათვისება, კეთილმოწყობა გამწვანება, დასვენებისა და გართობის კერების გაჩენა.
- ზღვის სანაპირო ზოლის პარალელურად მალთაყვის არხიდან ნიკოლაძის კუნძულამდე პლაჟის მოწყობა ინფრასტრუქტურისა და საინჟინრო კომუნიკაციების გათვალისწინებით.

კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს: განმარტებითი ბარათი (A-4 ზომის ფორმათი, №12 შრიფტი, არა უმეტეს 4 ფურცელისა), გენგეგმა (ესკიზური სქემა), ფრაგმენტული განშლა (ზღვის ფასადი), რენდერები (მინიმუ 2 ხედი) დამატებით მასალა შესაძლებელია ავტორის შეხედულებისამებრ.

პირველი ეტაპზე გათვალისწინებული კეთილმოწყობის სამუშაოს საპროექტო ტერიტორია მოიცავს: პლაჟის ნაწილს მალთაყვის არხიდან ნიკოლაძის კუნძულის მიმართულებით დაახლოებით 2500გრძ.მ და გურიის ქუჩიდან პლაჟთან მისასვლელ 2 გზას დაახლოებით 500-600 გრძ.მ. (ლერმონტოვის ქუჩიდან მისასვლელი გზა და მალთაყვის არხის მიმდებარედ პირველი გზა) ტერიტორიის კეთილმოწყობა გულისხმობს შემდეგ საპროექტო სამუშაოებს:

- მთავარი ქუჩიდან პლაჟთან მისასვლელი 2 გზის მოწყობა;
- ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ შიდამომსახურების გზის მოწყობა;
- ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ შიდამომსახურების გზის პარალელურად საფეხმავლო გზის გაზონის, საპარკო სკამების და ურნების მოწყობა და სხვა
- სათვალთვალო კოშკის (ან კოშკების)მოწყობა;
- გასაქირავებელი პუნქტების მოწყობა;
- საჩრდილობლების მოწყობა;
- საშხაპე კაბინების მოწყობა;
- ტუალეტების (შესაძლებელია ბიოტუალეტების)მოწყობა;
- ღია სპორტული მოედნების (პლიაჟის ფეხბურთისა და ფრენბურთის) მოწყობა;

- გარე და დეკორატიული განათების მოწყობა;
- ღია ავტოსადგომების მოწყობა;
- სკუტერებისა და წყლის ველოსიპედებისათვის ნავმისადგომის (პირსის) მოწყობა;
- ასევე შესაძლებელია მსუბუქი კონსტრუქციების სავაჭრო პავილიონების და სხვა ობიექტების არსებობა (სწრაფი კვება, სანაყინე და ა.შ);

კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს: განმარტებითი ბარათი, ტერიტორიის გენგეგმა, არქიტექტურული მოცულობების ესკიზები, რენდერები (მინიმუმ 2 ხედი), დამატებითი მასალა შესაძლებელია ავტორის შეხედულებისამებრ.

გამარჯვებულ კონკურსანტთან გაფორმდება ხელშეკრულება, რომელსაც თან დაერთვება დავალება დაპროექტებაზე, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი წარმოსადგენი საპროექტო დოკუმენტაციის (სამუშაო პროექტი) შემადგენლობა (ტოპოგრაფული გეგმა, საინჟინრო გეოლოგიური კვლევა,ზღვის პირა ზოლის ჰიდროლოგიური რეჟიმის კვლევა, დენდროლოგიური გეგმა და ა. შ).

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესების სრული დაცვით.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.

შემსყიდველი უზრუნველყოფს, რომ კონკურში მონაწილეს გადასცეს მოთხოვნის შესაბამისად შემდეგი გრაფიკული დოკუმენტაცია:

- ქალაქის კონკრეტული ფუნქციური ზონირების რუკა მ 1:15000
- ქალაქის ორთოფოტო გადაღება მ 1:15000
- ქალაქის სიტუაციური გეგმა საპროექტო ტერიტორიის ჩვენებით მ 1: 15000
- საპროექტო ტერიტორიის ორთოფოტო მ 1:5000
- საპროექტო ტერიტორიის სიტუაციური გეგმა-
  საკადასტრო საზღვრების ჩვენებით მ 1:5000
- საპროექტო ტერიტორიის ტოპო გეგმა მ 1:2000

კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შემსყიდველისათვის წარმოდგენილი უნდა იქნეს, როგორც ბეჭდური (4 ეგზემპლარი), ასევე ელექტრონული ფორმით. A 2 ზომის ფორმატის ალბომის სახით.

დანართი N1

რეკვიზიტები

1. კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
2. ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
3. კონკურსანტის იურიდიული მისამართი:
4. კონკურსანტის ფაქტიური მისამართი:
5. საიდენტიფიკაციო კოდი:
6. კონკურსანტის ტელეფონის ნომერი:
7. ელექტრონული ფოსტის მისამართი:
8. მომსახურე ბანკის დასახელება:
9. ბანკის კოდი:
10. ანგარიშის ნომერი:

კონკურსანტის ხელმოწერა _____ბ.ა.

თარიღი _____

შენიშვნა: მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული.

დანართი № 2

საკონკურსო წინადადების ფასი

№	ობიექტის დასახელება	საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება (ლარებში)
1	2	3
1	**მალთაყვის უბანში სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის) რეაბილიტაციის პროექტირება**	
	სულ	

ხელმძღვანელი:
ბ. ა.

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

(მომსახურების შესყიდვა)

ქალაქი ფოთი ---------- 2014 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 ერთის მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული) - შემდეგში „შემსყიდველი“, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ---------- სახით და მეორეს მხრივ, ----------” (კონკურსში გამარჯვებული), მისი დირექტორის ---------- სახით - შემდეგში „მიმწოდებელი“ ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

,,შემსყიდველი’’ კონკურსის საშუალებით შეისყიდის, ხოლო ,,მიმწოდებელი’’ (საპროექტო დოკუმენტაციის შედგენაზე კონკურსში გამარჯვებული) მიაწოდებს საპროექტო მომსახურებას (შემდეგში ,,მომსახურება").

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია, ქვეკატეგორია

2.1 შესყიდვის ობიექტი - საპროექტო მომსახურება
2.2 შესყიდვის საშუალება - კონკურსი
საკონკურსო განცხადების ნომერი - № ----------
შესყიდვის კატეგორია - 71200000 - არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურება
კლასიფიკატორის **(CPV)** კოდი - 71242000 - პროექტისა და გეგმის მომზადება, ხარჯების გამოთვლა

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს ---------- ლარს, დღგ-სა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა - ხელშეკრულების გაფორმებიდან (---------- კალენდარული დღის ვადაში) ---------- ჩათვლით.
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის ---------- ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
7.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა). გამოიყენება წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმი.
7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული მომსახურების მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) საბანკო დღის ვადაში.
7.4 წინასწარი ანგარიშსწორება:
7.4.1 მიმწოდებლის მიერ მოთხოვნილი თანხის იდენტური ოდენობის საავანსო საბანკო ან/და სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულების ვადას.
7.4,2 შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებლის გათავისუფლება შესაძლებელია, თუ მიმწოდებლისათვის წინასწარ გადასახდელი თანხა ჩაირიცხება საამისოდ განკუთვნილ ცალკე საბანკო ანგარიშზე და ეს თანხა გამოიყენება შემსყიდველი ორგანიზაციის კონტროლით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში. თანხის ჩარიცხვა მოხდება მიმწოდებლის მომართვისა და შემსყიდველის თანხმობის საფუძველზე.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაავალოს,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბაბისი სამსახურის თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს.
9.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.
9.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ----------

9.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.
9.5 მომსახურების ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ ნორმებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს. მიმწოდებლის მიერ მომსახურების შესრულების დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე მთლიანად პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქცია: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა_ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას და შესრულების ვადის გადაცილებას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.2 %-ს.

11. სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხი ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი - მიმწოდებელთან, სამი- შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
11.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
11.3 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული სატენდერო დოკუმენტაციით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

,,შემსყიდველი''	,,მიმწოდებელი''
---	---